საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
12

№ 6
იანვრის 9, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 6
იანვრის 9, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ანნა ანდრიას ასული **ჯამუხაძისა**, პელაგია ანდრიას ასული **ოსიპოვისა**, მარიამ ანდრიას ასული **ვეფხვაძისა**, დავით და გიორგი ანდრიას ძენი **ლაზარაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, საყვარელის დეიდაშვილისას

იოსებ სიმონის ძის ქურდოვანიძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ 9 ამა იანვარს, დილის 10 საათზედ, ოქრომჭედლების ქუჩაზედ (1 ტუპიკი), სახლი სულთანოვისა. მიცვალებულს მიასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზედ. პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—7—2)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ახოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 27. ტელეფონი № 176

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 9 იანვარს, 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

სამეფო ტახტისათვის

ანუ

იაკობელები

დრამა 5 მოქ. ფრანსუა კოპპესი, თარგმანი პ. ყიფიანისა და გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ჟღენტი, ანანიაშვილი.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღეს, იანვრის 12-ს ამა წლისა, „ტფილისის კრუჟოკი“-ს დარბაზში გამართული იქნება

ბალი

საკონცერტო განყოფილებით

კავკასიის დამხმარებელ საზოგადოებისა, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა თანხის გასაძლიერებლად.

მონაწილეობას მიიღებენ: შეერთებული ხორო ბ-ნ იაიჩკოვის ხელმძღვანელობით, სტუდენტების ხორო, საოპერო დასის მომღერალნი, ბალალაიკის დამკვრელები.

დარბაზები მორთული იქნება.

კონცერტი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ბალის დიასახლისი კნ. დ. რ. ჭავჭავაძისა.

ბილეთების ყიდვა შეიძლება: დ. ბ. ხიდდეკელ-

თან (წიგნის მაღაზია), საზოგადოების თავმჯდომარე ს. მ. ლაგროვთან (მადათოვის სუდებნაია, 16. № 5), ხაზინადარ რ. ა. ითონისიანთან („არგონავტის“ რედაქცია) და „რუჟოკი“-ს შვეიცართან. (3—მ.—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ი. ინაშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6. (10—2—5)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან.: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ბრ. მ. სობოლევსკი—ოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ გაზეთ „პეტერბურგ. ვედომოსტ“-ში დაბეჭდილია მშვენიერი წერილი ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილისა, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, ამბობს, რომ რუსულ კულტურის და განათლების გასავრცელებლად საქართველოში საუკეთესო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ქართულის ენის ხმარება სახალხო სკოლებში, ქართულის ჟურნალ-გაზეთების აღორძინება, ქართულის თეატრის გაძლიერება. თავის აზრს ავტორი ასაბუთებს დიდებულის რუსის პატრიოტის ვარანცოვის მოხსენებით ხელმწიფე იმპერატორისადმი, ამ მოხსენებაში თ. ვარანცოვი ისე მაღლა აყენებდა ქართველ ფაქტორების გაძლიერებას სახელმწიფო სურვილის განსახორციელებლად, რომ უხვის სუბსიდიის დანიშვნასაც-კი საჭიროდ რაცხდაო.

◆ შაბათს, 11 იანვარს, დანიშნულია ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა კრება, რომელიც განიხილავს ქალაქის ამ 1903 წლის შემოსავლის აღრიცხვას.

◆ ამ თვის დამლევს გამოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მდივნის, ბ-ნ ე. ი. იოსელიანის მიერ რუსულად შედგენილი წიგნი „О Кавказской промышленности и о вліяніи ея на культурный ростъ нашего края“.

◆ 1 იანვრიდგან 7 იანვრამდის ქალაქის სააუქციონო დარბაზში გაყიდულა 1019 მ. 40 კაპ. ნივთები.

◆ პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოებას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ცხინვალის საბოქაულოში გახშირებულა სხვა-და-სხვა დაზღვევა; დაზღვეულთ თურმე კარგა ხნის განმავლობის შემდეგ სწამლავდნენ და დაზღვევის ფულით ეს ვაჟბატონები სარგებლობდნენ; ზემოხსენებულმა საზოგადოებამ ამ საქმის გამოსარკვევად მთავრობის ნება-დართვით დანიშნა საგანგებო კომისია, რომელიც კარგა ხანია საქმის გამოძიებას შეუდგა; ამ ჟამად კომისიას საქმე უკვე აღსრულებაში მოჰყავს და საქმეს კანონიერი მიმართულება მიეცემა. როგორც გადმოგვცეს, პასუხისგებაში ბევრი იქნებიან მიცემულნიო.

◆ როგორც ტფილისის საყასბოს ანგარიშიდგან სჩანს, დეკემბრის განმავლობაში დაუკლავთ 5555 მსხვილფეხი საქონელი, 507 ხბო, 5901 ღორი და 11,596 ცხვარი. საყასბოს გამგე ბეითალი ბ-ნი კანცელმახერი სთხოვს გამგეობას, ეს ანგარიში წარადგინოს, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის 13 მარტ. 1892 წლის ცირკულიარისა, საიმპერიო საბეითალო მმართველობაში პეტერბურგში.

◆ იბეჭდება და მალე გამოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ისტორიული მიმოხილვა; რამდენიმე ცალი ამ მიმოხილვისა უკვე დაურიგდა სამეურნეო საზოგადოების წევრთ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა მთავრობისაგან ახლად დანიშნული ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორის თანამდებობაზედ პოლკოვნიკი ბ-ნი სოიმოვი, რომელიც უკვე შეუდგა ამ თანამდებობის აღსრულებას.

◆ პარასკევს, 10 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის მიერ შემუშავებულ მოხსენებას „სახალხო სკოლებში დედა-ენაზედ სწავლის საჭიროების“ შესახებ.

◆ ამ უკანასკნელ ხანს დუქნების გამგეს აღარც ანგარიში, აღარც ფული არ წარუდგენია კასსაში; ამის გამო ქალაქის გამგეობა შეეკითხა დუქნების გამგეს, რა მიზეზია ანგარიშების დაგვიანებისაო და ითხოვს დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინეო.

◆ ხმოსანმა ბაბოვმა ჩამოაგდო ლაპარაკი ქალაქის წყლის მეორე მილის გამოყვანის შესახებ. ქალაქის თავი ამას გამო შეეკითხა ქალაქის ამშენებელ განყოფილების გამგეს ბ-ნ ენფიანჯიანცს და სთხოვა ეუწყებინა ამ საგნის შესახებ დაწვრილებითი ცნობანი და თავისი დასკვნაც; ბ-ნმა ეფიანჯიანცმა განუცხადა გამგეობას, რომ მეორე მილის გამართვა ქალაქს არა ნაკლებ 200,000 მანეთისა დაუჯდებაო და ამ თანხის დახარჯვა-კი ძნელი იქნება ქალაქისთვისაო.

◆ როგორც შევიტყეთ, თავადს ერისთავს განუცხადებია სურვილი კავკასიის სამეურნეო საბჭოში, რომ რადგანაც საბაღოსნო სკოლის შეგირდებისათვის, ამა სკოლის სამზრუნველოს გარდაწყვეტით ვერ მოუპოვებია საზაფხულოდ საპრაქტიკო ადგილიო, ამისათვის, თუ საბჭო მოისურვებს, საბაღოსნო სკოლის შეგირდებმა საზაფხულო მუშაობა განაგრძონ ჩემს მამულში, სოფელ კასპშიო; სამეურნეო საბჭოს დაუნიშნავს კომისია, რომელსაც დაუთვალიერებია თავ. ერისთავის ვენახი და მამული კასპში; საბაღოსნო სკოლის საზრუნველოს გადაუწყვეტია უკვე—მიიღოს თავ. ერისთავის წინადადება და გამოეცხადოს თავადს მადლობა.

◆ ქალაქის გამგეობა შეეკითხა ტფილისის ზოგიერთ ცნობილ იურისტს და სთხოვა, წარმოეთქვათ თავიანთი აზრი და ეცნობებინათ გამგეობისათვის, რამდენათ კანონიერია, რომ ქალაქის სკოლათა კომიტეტის არსებობა არ მოისპოს და შემდეგშიაც განაგრძობდეს თავის არსებობასაო; გუშინ საბოლოოდ მოხ- და ხმოსან-იურისტებისა და ხსენებულ კომიტეტის წევრების კრება. თავმჯდომარემ დაწვრილებით გააცნო წევრთ მოღაწეობა კომიტეტისა თითქმის ოცის წლის განმავლობაში და სთხოვა ხმოსან-იურისტებს წარმო- თქვათ ამისდა მიხედვით თავისი აზრი; იურისტებმა სამართლიანად და კანონიერად სცნ- კომიტეტის არსებობა და მათი აზრი ჩართულ- იქმნა კრების ოქმში, რომელიც წარედგი- ნება კავკასიის სამოსწავლო მთავრობას.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ სამეურნეო საზოგადოების მდივანს ბ-ნ იოსელიანს განუზრა- გავს წელიწადში ორჯელ გამოსცეს კრებულ- სხვა-და-სხვა საპოლიტიკო, საეკონომიო წ-

რილებისა; კრებულში საკმარისი ადგილი
ქნება დათმობილი ყოველს გვარს განყოფი-
ლებას, რომელიც-კი საინტერესოა მკითხველ
ზოგადოებისათვის. ამ ცოტას ხანში ბ-ნ
სელიანს განზრახვა აქვს მიიწვიოს ცოტათ
უ ბევრად ქართველი ლიტერატურაში სახელ-
ხვეჭილი მოღვაწენი. იოსელიანის ვარაუ-
დით, შესაძლებელი იქნება პირველი წიგნი
კრებულისა ამ წლის ნახევრის გასულს გა-
ოვიდეს.

◆ შაბათს, 4 ი-ნვარს, ტფილისის საკო-
ერციო სასწავლებლის გამგეობამ მოწაფეთ
აუ ართა „შობის ხე“. მოსწავლეთ წაიკითხეს
ხვა-და-სხვა ლექსი. მომღერალთა გუნდმა
რამდენიმე სიმღერა სთქვა. დასასრულ ნასია-
ოვნებ მოსწავლეთ საჩუქრები დაურიგეს.

◆ პარასკევს, 3 იანვარს, საღამოს 8 საათ-
ედ კრება ჰქონდათ ტფილისის ეპარქიის
ასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთ,
ომელთაც განიხილეს გაკვეთილების რიცხვის
ემცირების საგანი. კრებამ დაადგინა, იშუა-
დგომლოს მთავრობის წინაშე. რათა ა)
ვირაში 21 გაკვეთილზე მეტი არ იყოს
ენებულ სასწავლებლებში და ბ) გაუქმებულ
მნას ბერძნულის ენის სწავლება.

◆ 5 იანვრიდგან დაწყებული ქალაქში
ულ თოვლს, რის გამოც თოვლით ერთიან
აიფარა ქუჩები, ხეები და სახლები; მაგრამ
თოვლმა ყველაზედ მეტი ზარალი მიაყენა
ჩტა-ტელეგრაფის უწყებას. თოვლმა თითქ-
ყველგან დასწყვიტა გაბმული მავთულები
ძირს ჩამოჰყარა.

◆ ყარსის შტოზედ ხელ-ახლა ამოვარდ-
ლა საშინელი ქარ-ბუქი. მატარებლების
მოსვლა შეწყვეტილია.

◆ საზოგადო განათლების კურსები ტფი-
ისის 1-ლ გიმნაზიაში, რომელიც დეკემბ-
დან შეჩერებული იყო, გუშინდელ დღიდ-
ან ისევ დაიწყო.

◆ როგორც გაზეთები იუწყებიან, ყაზა-
ის მაზრის უფროსის თანაშემწე უსუფ-ბეკ-
ირჯანოვი 2 იანვარს მკვდარი უნახავთ
ავის ბინაზედ. შუბლში ტყვია ჰქონია ნაკ-
ავი.

◆ ბორჩალოს მხარეს, სოფელ შაგალის
ლო, „ცნ. ფურც.“-ის სიტყვით, საფრან-
თის კაპიტალისტებმა მარშან სპილენძის
დანის სადნობი ქარხნის მოწყობა დაიწყეს.
ქარხანა სრულებით დაუმთავრებიათ და
თვეში მუშაობასაც შეუდგებიან.

◆ ორშაბათს, 6 იანვარს, ავლაბრის სა-
ლხო თეატრის სცენის მოყვარულთ ქარ-
ულ თეატრის დაარსების სახსოვრად გა-
რთეს სადღესასწაულო წარმოდგენა აპო-
ოზით. სცენაზე იდგა გ. ერისთავის სურა-
.

◆ ხუთშაბათს, 2 იანვარს, სასოფლო-სა-
ურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომი-
ეტმა, სხვათა შორის, განიხილა საქმე
ყის გამოხდის შესახებ და დაადგინა, აღძ-
შუამდგომლობა, რომ ტფილისის გუ-
ნიაში სააქციზო გარდასახადი შემცირ-
ს დაწყებულ იქმნას იმდენი აქციზი, რამ-
ენიც წინად იყო. კომიტეტმა განიხილა
ოედვე ქმე ზეთისა და ვარდის წყლის
რმოების შესახებ და დაადგინა, იშუამდ-
ლოს მთავრობის წინაშე, რათა მან ხელი
უწყოს მეურნეობას ამ დარგის განვითა-
ბას განსაკუთრებულ სადგურის დაარსებით,
ც მსურველთ შეძლება ექმნებათ პრაქ-
ტიკულად შეისწავლონ ეს დარგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა.

◆ ვერაზედ მცხოვრებლები ძლიერ შევიწროებულნი არიან ესხების მიერ უხეირო ხორცის უიდვისაგან. მათ არა ერთხელ მიუმართავთ ქალაქის დუქნების კომისიისათვის, მაგრამ ვერაზედ ხორცის დუქნის გამართვა ისე ნელა მიდის, რომ მოსალოდნელია გაზაფხულამდისაც ვერ გაიხსნას იქ ხორცის დუქანი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ტფილისის უბნების ბოქაულებს, სასტიკად ადევნონ თვალ-ყური მეეზოვეებს, რომ სუფთად შეინახონ სახლების წინ ქვაფენილები, თოვლი გადაფხიკონ და ან ნაცრით ან ქვიშით მოამშრალონ ხოლმე; გუშინ მიხეილის ქუჩაზედ არც ერთი სახლის წინ ქვაფენილი დაწმენდილი არ იყო; შალიკოვის სახლის წინ დაეცა მოლიპულ ქვაზედ ერთი მანდილოსანი, იღრძო მარცხენა ხელი, დაჰკრა თავი და გულშეღონებული სახლში გაჰზავნეს ეტლით.

◆ ტფილისის გამგეობამ უკვე განიხილა იმ წესდების პროექტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ტრაქტირებისა და ყავახანების პატრონებმა მომავალში. გამგეობა ამ პროექტს საბჭოს წარუდგენს გასასინჯველად ამ მოკლე ხანში.

◆ ტფილისის ქუჩების მომკირწყლავ კომისიას პეტერბურგის საინჟინრო ინსტიტუტის ლაბორატორიაში გაუგზავნია ათ ნაირი სხვა-და-სხვა ქვების ნიმუში გამოსაკვლევად და უთხოვნია შეატყობინონ, რომელ ნიმუშს ქვა უფრო გამძლე თვისებისა აღმოჩნდება.

◆ 5 იანვარს, ოლგის ქუჩაზედ, ფორაქიშვილის სახლის წინ იპოვეს მიგდებული ორის კვირის დაბადებული ბავშვი, მდედრობითი სქესისა; ბავშვი ჩვრებში იყო გახვეული; ჩვრებში აღმოჩნდა ბარათი წარწერით ,,ანნა, მართლ-მადიდებელია''.

◆ 6 იანვარს, კახეთის მოედანზედ უცბად გარდაიცვალა ტფილისის მდაბიო მოქალაქე ისაკა მანთაშევი.

◆ 6 იანვარს, ლივადიის ნომრებში მოსკოვის მდაბიო მოქალაქის ქალმა მასლიანიკოვისამ პოლიციას განუცხადა, რომ ჩემის ოთახიდგან დავკარგე 500 მანეთის ღირებული სხვა-და-სხვა ნივთიო. მასლიანიკოვიამ ეჭვი განაცხადა თავის მოსამსახურე იუზბაშევისაზედ, რომელიც პოლიციამ უკვე შეიპყრო.

ქალაქის საბჭოს კრება. გუშინ ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ხმოსანთა კრება. კრებამ განაგრძო სოლოლაკის მთაში გვირაბის გათხრის საქმის განხილვა; დაიწყეს ხელშეკრულობის მეოთხე მუხლიდგან. საბჭომ გარდასწყვიტა 2000 მანეთის მაგიერად კონცესსიონერებმა წარმოადგინონ 6000 მანეთიო; 2000 ამ თავით და 4000 მაშინ, როცა ბრაილოვსკი და ხატისოვი მუშაობას დაიწყებენ; კონცესსიონერებსა და ქალაქის შორის პირობაზედ ხელის მოწერის ვადად დაინიშნოს ერთი თვე იმ დღიდგან, რა დღესაც ხელშეკრულობის პირობანი შემუშავებული იქნება საბოლოვოდ. კრებამვე დაადგინა: ბრაილოვსკისა და ხატისოვს დაენიშნოთ ორის წლის ვადა. ამ წლის განმავლობაში უნდა დაამთავრონ მთლად სამუშაო, თუ კონცესიონერებმა ამ ხნის განმავლობაში ვერ შეასრულეს სამუშაო, მაშინ ვადაზედ მომეტებულ გასულს იგინი იხდიან ათ თუმანს ჯარიმას ქალაქის სასარგებლოდ; თუ ამ ორის წლის გასვლის შემდეგ, 6 თვის განმავლობაში მაინც ვერ შეასრულეს, მაშინ, მათ მიერ შეტანილი წინდი 6000 მანეთი და ყველა მათ მიერ შეძენილი მასალა გვირაბისთვის, რჩება ქალაქის საკუთრებათაო.

ამავე კრებაზედ ხმოსანმა ბაბოვმა ჩამოაგდო ლაპარაკი ფრიად საყურადღებო საგანზედ; საქმე ის არის, რომ ქალაქის თავმა გასცა გამგეობის კანცელარიასა და ბუხჰალტერიაში ბრძანება, რომ მოხელეებს არ შეეძლოთ რომელიმე საქმის შესახებ ცნობანი მისცენ ხმოსნებს გამგეობის დაუკითხავადაო; ამაზედ ბაბოვმა განაცხადა თავის უკმაყოფილება და დასძინა, რომ ყოვლად მოუხერხებელი და შეუწყნარებელი ბრძანებაა, რადგანაც ქალაქის ზოგიერთ საქმე მალე დაკმაყოფილებას თხოულობსო. ამ შემთხვევაში-კი ხმოსანმა გამგეობას უნდა შეჰყუროს და უცადოს მის განკარგულებასაო; ა. ს. ბაბოვმა ითხოვა ქალაქის თავისაგან განმარტება, რამ გამოიწვია ამისთანა განკარგულება და რა აზრი გქონდათო. ქალაქის თავი შემდეგ კრებისთვის დაჰპირდა ამ საგანზედ პასუხის მოხსენებას.

კრება გათავდა თერმეტის ნახევარზედ.

წმინდა ქართული.

ეხლანდელს ქართულს ძლიერ უყვარს მხოლოობითი რიცხვი, ხმარება სიტყვებისა მხოლოობითისა და არა მრავლობითის დაბოლოვებით და ჭირივით ეჯავრება ნაცვალ-სახელი.

ძველს ქართულს, კლასიკურს ქართულს, რომელსაც ვხედავთ სამღვთო წერილში, პირიქით, ძალიან უყვარს ერთიცა და მეორეც, ხმარება მრავლობითის დაბოლოვებისაცა და ნაცვალ-სახელებისაცა.

აი, მრავალთა შორის ერთი ამისი ცხადი მაგალითი, რომელიც ყველას გაუგონია: „პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი“.

აი კიდევ:

„იხილნა იესომ იგინი, მარასდევდნენ მას და ჰრქუა მათ. (იოანე, 1. 38). უყვარდა კიდეც ნაცვალ-სახელნი ძველს ქართულს, საჭიროც იყო ალბად და უხდებოდა კიდეც.

ესევე ითქმის მრავლობითის რიცხვის შესახებაც.

დღეს-კი კარგ მექართულედ არ მიიჩნევენ იმას, ვინც ხშირად ჰხმარობს წერასა თუ ლაპარაკში ან ნაცვალ-სახელსა და ან მრავლობითს რიცხვსა; ჰხმარობს მაშინაც, როცა საჭიროა და მაშინაც, როცა ადვილად შეიძლება უიმისოდ იოლად წასვლა.

რაკი ენაც, როგორც სხვა ყოველივე, ექვემდებარება ევოლიუციის კანონს, დღევანდელმა ქართულმა შეიძინა ამ ევოლიუციის წყალობით ისეთი თვისება, რომელიც ნებას აძლევს ხშირად არ მიჰმართოს ნაცვალ-სახელსა და მრავლობითს რიცხს; არ მიჰმართოს მაშინ, რასაკვირველია, როცა შეუძლიან უიმათოდ იოლად წავიდეს.

ჩვენი ზმნა ისეთის აგებულებისაა, რომ თვითვე ცხადად გვაჩვენებს ვის, ან რას შეეხება. როცა ვამბობ: ვწერ, დავდივარ, მიმაქვს, თავის-თავად ცხადია, რომ მე და არა სხვა ვინმე. აგრე: სწერენ, დადიან, მიაქვთ, აქაც ცხადია, რომ ისინი სწერენ, დადიან, იმათ მიაქვთ.

რუსულსა და გერმანულს-კი სულ სხვა თვისება აქვს. არც ერთს მათგანს არ შეუძლიან თითქმის იოლად წავიდეს უნაცვალ-სახელოდ. მრავლობითი სახელიც ძალიან უყვარს რუსულს, როგორც ქართულსა და გერმანულს უყვარს ზმნა. უზმნოდ შეუძლებელია წინადადება დაიწეროს, ან ითქვას ქართულად ისე, როგორც გერმანულში. ქართულად ითქმის: პატარა ხარ, რუსულად: ты маленькій, გერმანულად—du bist kcein. ეს მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რა ღრმა განსხვავებაა ენასა და ენას შორის.

დღევანდელს მწერლობაში მრავალია იმისი მაგალითი, რომ ბევრს ჩვენს მწერალს, თვით საკმაოდ მცოდნეს ქართულისას ამის ალღო არ აუღია და ვერ შეუმჩნევია ჩვენის ენისათვის ეს ნიშნობლივი თვისება ქართულისა.

აი მაგალითები:

„დედ-მამის სურვილს უნდა გაეწიოს თავდარიგი (?), თუ ისინი შეთანხმდნენ ერთმანერთთან“.

აქ სრულიად მეტია ნაცვალ-სახელი ისინი.

„მშობელს მშობლიური უფლება ადაოა აქვს თავის შვილზე, მაგრამ კანონი ნებას აძლევს ინახულოს ის, როდესაც მოისურვებს“.

ნაცვალ-სახელი ის აქ სრულიად მეტია და, რომ გამოვსტოვოთ, აზრს სრულიად არა დააკლდება-რა.

„თანაც მკლავები მოუმარჯვებია (წარსულს წელიწადს), თითქოს მზად იყოს, პასუხი გასცეს მათ, ვისაც იგი არ მოსწონს“.

ჩავუკვირდეთ ამ წინადადებას და ადვილად მივხვდებით, რომ ორივე ხაზ-გასმული ნაცვალ-სახელი სრულიად მეტი ბარგია. აზრს არა დააკლდება-რა, რომ ვსთქვათ:

მკლავები მოუმარჯვებია, თითქოს მზად იყოს, პასუხი გასცეს, ვისაც არ მოსწონს.

საზოგადოდ ეს წინადმდება ქართულის ბუნებისამებრ ვერ არის აგებული, სიცოცხლე და მხატვრობაც აკლია.

მომარჯვება შეიძლება რისამე იმისთანასი, რაც ადამიანის გარეშეა: ცულისა, თოფისა, ხმლისა, სხვა რამ საგნისა. ამ შემთხვევაში-კი უნდა ითქვას: ხელები დაუმკლავებია, თითქო გვეუბნევა, მზა ვარ პასუხი გავსცე, ვისაც არ მოვწონვარო.

ჩვენის აზრით, ასე აგებულსა და გამოთქმულს წინადადებას უფრო მეტი სიცხოვლე აქვს, მეტი სამხატვრო ძალა და მეტი ქართული ფერი.

„სამართლიანად სთვლის მას“. რაღა საჭიროა მას? სამართლიანად სთვლის, რასაკვირველია, იმას, რაზედაც ლაპარაკია. მაგრამ რუსულის ბრალია იქაც. რუსულად ვფიქრობთ, მერე ქართულად ვსთარგმნით და ისე ვსწერთ. რუსულად-კი ეგ ფრაზა ასეა: считаетъ его справедливымъ.

ახლა აღვნიშნოთ რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ რა გადაჭარბებით უყვართ ჩვენს მწერლებს მრავლობითის რიცხვის ხმარება იქაც-კი, საცა სრულიად საჭირო არ არის.

„ფორმების შეთანხმება პირობებთან“.

„განახლება სხვა პირობებში მოხდა.“

ორსავე შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა დამწერს მრავლობითი რიცხვი, რომელიც ასე არ უხდება სიტყვებს: პირობა, გარემოება, დამოკიდებულება, მეტადრე ახალის დაბოლოვებით: ები და ბაები. პირობები, გარემოებები, დამოკიდებულებაები. ამ შემთხვევაში, თუ მრავლობითი რიცხვი აუცილებელია, სჯობიან ისევ ძველებური ფორმა: ნი. პირობანი, გარემოებანი, დამოკიდებულებანი. ასე უფრო კეთილ-სასმენია და მუსიკალური.

პირველი ფრაზა უკანონოა გრამატიკულის მხრითაც. შეთანხმება რისა რასთან-კი არა, შეთანხმება რისა და რისა კარგი მექართულე იტყვის: შეთანხმება ფორმისა და პირობისა, ანუ უფრო უკეთ: შეეთანხმა, საჭიროა შეეთანხმოს ფორმა პირობასა. მეორე ფრაზა ასე უფრო კეთილ-მოსასმენი იქმნებოდა: განახლება სხვა პირობაში.

საზოგადოდ სიტყვა პირობა იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენი მწერლები ჰხმარობენ, როცა სთარგმნიან რუსულს სიტყვას условіе, ქართულს აუშნოებს, აუგემურებს. ამ შემთხვევაში ხან სჯობიან მის მაგიერ ვიხმაროთ სიტყვა: გარემოება. მაგალითებრ, განახლება სხვა გარემოებაში მოჰხდა, ხან სულ თავიდგან ავიცილოთ და ისეთი აგებულება მივცეთ წინადადებას, რომ მაგ სიტყვის ხმარება საჭირო არ იყოს.

სიტყვა პირობა რუსულ უსლოვიეს აზრით იხმარება მეტად მტკიცედ განსაზღვრულ გარემოებაში და იურიდიულ ტერმინის მნიშვნელობა აქვს მაშინ. რუსულს „უსლოვიეს“-ას ფართო მოედანი აქვს მიზომილი და ამიტომ რუსები ადვილად ჰხმარობენ ამ სიტყვას ბევრ-გვარ შემთხვევაში.

ჩვენი ხალხი, გლეხ-კაცობა ვერ გაიგებს, რომ ჰკითხო: რა პირობაში სცხოვრობო, რა პირობანია აუცილებელი შენის მდგომარეობის განკარგებისათვისაო. იფიქრებს, რა ვქნა, რა პირობას ამბობს, მე პირობა არავისთვის არა მიმიცია-რა, პირობით არავის შევკვრივარ, პირობა არა მქონია-რა არავისთანაო. უფრო ადვილად მოჰხდება, რომ ჰკითხო: რა გარემოებაში, ან რა ყოფაში ხარ, თუ ცხოვრობ, რა არის აუცილებლად საჭირო, რომ და სხვ.

ქართველების ბედნიერება ის არის დღეს, რომ ენა ჩვენის ახალის მწერლობისა და ხალხისა, მთლად მდაბიო ხალხისა, უბირის გლეხკაცობისა ერთნაირია, ერთმანერთს დაუშორებელი. ეს ბედნიერება შემდეგშიაც უნდა შეინარჩუნოს მწერლობამ უეჭველად. აი, ამიტომ უნდა გავფრთხილდეთ, რომ მწერლობის ენა ხალხისას არ დაშორდეს, გაუგებარი ან ნაკლებ გასაგები არ შეიქმნას მისთვის მაშინ მაინც, როცა საგანი წერისა, მოსასმენი ამბავი არსებითად გასაგებია ხალხისათვის.

გ. ყიფშიძე.

ჩვენებური ამბები

ქიზიყი. არ იქნა, ვერა ეშველარა ბედკრულ ვარსკვლავზე დაბადებულს ქვემო-მაჩხაანის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. სურვილიც არის მის კეთილად წარმართვისა, ფულებიც მოიძებნება, მაგრამ ჩვენის შეძლების შესაფერი სახლი ვერ გვიშოვნია, რომ იქ მოვათავსოთ. იმედია, ვისაც რა ფული ჰმართებს ჩვენის წიგნთ-საცავისა, დროზედ მოაწოდებენ და მით ფეხზე დააყენებენ.

ჩვენსკენ დაიწყეს „სბორჩიკ“-მამასახლისების გაჩოტკვა და ჯერ არ ვიცით, როგორ პირნათლად გამოვლენ საზოგადოების წინაშე.

თვეზე მეტია ჩვენსკენ მშვენიერი ამინდები იყო. სამს იანვარს ცა მოიქუშა და მთელი მიდამო თოვლმა დაჰფარა. ბევრი საწყალი ოჯახი ვიცი, აქამდის მშვენიერი ამინდებისაგან დაიმედებულნი, რომელთაც წკირი შეშა, ფიჩხი არ მოეძებნებათ, ფარღალალა სახლი გაითბონ ამ სიცივეში, ახლა იფიქრეთ, ამისთანა ოჯახში, თუ ავადმყოფიც შეესწროთ,

---

ფელეტონი

ხილად

ახალ თაობის რაინდს.

წარსულ წლის დამლევს ჩვენს პრესაში
ღი აყალ-მაყალი ასტყდა, ცხარე შეხლა
კამათი გაიმართა. რასაკვირველია, გესმო-
ბათ, რომ ამის მიზეზი ეროვნება იყო. იქმ-
ბა იცოდეთ, რომ „ცნობის ფურცელს“
ზედ სულ „ინიციატივა“ აკერია (ქართულ
ოსნობის“ მაგიერ) და ლიტერატუ-
ულ დავი-დარაბის „ინიციატივაც“ იმან იტ-
რთა, იმან უარ-ჰყო... ეროვნება!.. ეს მო-
ლოდნელიც იყო. მას აქედ, რაც ბ-ნმა გუ-
ამ თავისი ბრძოლის იარაღი სხვას გარდა-
ა და ამ იარაღის ახალი პატრონი ვანქის
ანში დაბინავდა, „ცნობის ფურცელმა“
ულიად იერი იცვალა. ახლა ყველასთვის
ადია, რომ ვანქის უბანი „ცნობის ფურც-
ის“ ნამდვილ თაბორის მთად გარდაიქცა.
ქის უბნელ პუბლიცისტებმა მალე, ძრი-
მალე შეაქციეს ზურგი ქართულ სა-
ცავს... აკი ამიტომ მადლობაც მი-
ეს „მშაკისა“ და „ნორ-დარისაგან“.
ერთი მოწყალეა, — ლოცვა-კურთხევასაც
ე მიიღებენ. მხოლოდ მოთმინება და ერთ-
ლობაა საჭირო, თორემ ყველაფერი თა-
დროზედ იქნება. . რუსულ ასოებით
ბეჭდილი სომხური გაზეთ-ჟურნალობა დიდს
არულს მიეცა. აკი ვამბობდით, ჩვენი კულ-
ტურა და გავლენა ძლიერია და მთლად კავკასიონს იმორჩილებსო... ღვთის წინაშე, საბუთიც-კი აქვთ, რომ ზარი და ზეიმი ასტეხონ: რატომაც არა—ქართველ ახალთაობის გაზეთი სრულიად განფოთხრიენდა და გადისტოკდა და მისი რედაქცია კიდევ სრულიად კათუმანიანცდა და გახეხატურიანცდა. ამის შემდეგ მოდი და სიხარულს ნუ მიეცემი!.. ჩვენ სრულებით ვერ წარმოვიდგენდით, თუ ბ-ნ თუმანიანცის ლიტერატურული ხაზხაში ასე ბლომად იმოქმედებდა ქართველ ახალ თაობაზედ. ფიქრადაც არ მოგვივიდოდა, თუ ბ-ნ თუმანიანცის თავისებური „ძმობა და ერთობა“ ასრე გასქრიდა, მაგრამ გასქრა... ჰო, იმას ვამბობდი,—აყალ-მაყალის საბაბად ეროვნება შეიქმნა.

წინად საეროვნო საგანს ყველა შეგნებული ქართველი მოწიწებითა და თაყვანისცემით ეკიდებოდა. ჩვენმა აწინდელმა სახელოვანმა „მამებმა“ პირველ საღმრთო მცნებად სწორედ ეს საგანი დაგვიდეს და თითონაც ამ მცნების აღორძინებას შეალიეს მთავარი ღონე და ძალა. ახლა-კი, როცა ამ მცნებაზედ ახალ თაობის წინა-მორბედი ბაასობს და სწერს, სიტყვა სრულიად იბილწება და კალამი სრულიად იმწიკვლება. რას ვიზამთ, დრონი იცვალნენ! ახალ თაობის რაინდებს კილვად და კიცხვადაც არ ჰყოფნით ეროვნება და უცნაურის სიმამაცით სდევნიან და სწყევლიან ჩვენს მამულის შვილობას“... ცილის წამება-კი არ გეგონოთ, აბა, მოიგონეთ „ცნობის ფურცლის“ ნამდვილმა მეგობარმა რა ახალი მოძღვრება მოჰფინა ქართველობას: ყველაფერ ქართულზედ ხელი უნდა ავიღოთ, ყველაფერი ეროვნული უნდა დავუტევოთ—ენა, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება და დავადგეთ გადაბირებას, რომელიც ერთად-ერთი გზაა პროგრესისა და ცხონებისაო... ცნობიერი და გონიერი ნაწილი საზოგადოებისა აშფოთდა და აღელდა, მაგრამ რაო?—ვანქის უბნის ახალთაობამ და მისმა სამრევლომ მაინც წარბიც არ შეიხარა...

როცა „ცნობის ფურცლის“ რაინდი სამსჯავროს წინაშე წარადგინეს და პასუხი მოსთხოვეს, იგი შეკრთა და უკან დაიხია. ფერმიხდილმა ვითომდა თავის მართლება დაიწყო,—მე ეროვნებას-კი არ უარვყოფ, მე მხოლოდ „მამების“ შეცდომას ვსწერ... „არც წინად და არც ახლა არ ესმით ჩვენს მამებს, რომ მათი ეროვნული შემეცნება ფორმალური შემეცნებაა, უსიცოცხლო, უსულო; მათი ერი, თუ განვითარდა, ადამიანს დაახჩობსო“... ღვთის წყალობით, ჩვენის „მამების“ ეროვნულ შემეცნებას ჯერ არავინ დაუხრჩვია და თუ ვანქის უბანში ვისმე დაახჩობს, ამ ჭირსაც გავუძლებთ. მაგრამ უფრო სასაცილო აქ სიტყვების რახა-რუხია. „მამების ეროვნული მოძღვრება უსიცოცხლო და უსულოაო“... ძნელია ამაზედ მეტი უმეცრება! თითქმის გონებით ბრმისთვისაც-კი ცხადზედ ცხადია, რომ „მამებმა“ ჩვენი ეროვნება ცხოველ-მყოფელ ძალად გარდააქციეს, პატივი და დიდება მოუპოვეს, მთელ ქართველობის სალოცავად გარდაქმნეს და ამ „მამებს“ უსაყვედურებენ—თქვენი მოძღვრება ფორმალური და უსიცოცხლოა და ადამიანს ახრჩობსო!.. ჩვენი მამები—პოეტები თვით ზოგიერთ უცხოელებსაც-კი სულს უდგმენ და გულს უტოკებენ და ჩვენებური ჯაგლაგი კალამი კი წრიპინებს—იმათი ეროვნული შემეცნება მკვდარი მოძღვრებააო!..

წარსულ საუკუნის სამოც წლებიდგან დაწყებული აქამომდე ქართველობა ეროვნების ფერხულშია ჩაბმული და მწყობრად აღორძინების სიმღერას ღიღინებს და ამის შემდეგ „მამებს“ უკიჟინებენ—თქვენი ეროვნული შემეცნება ადამიანს ახრჩობსო!.. მერე მოჰყოლიან და, თითქო მწვანე კიტრიაო, თავი მოაქვთ: „ახალთაობამ შეიტანა ეროვნულ პრინციპში ზნეობრივი ელემენტი, სიცოცხლე და დაუდვა მას უფრო ადამიანური საფუძველიო“... („ცნ. ფურც.“, № 2007) რასაკვირველია, ადვილად მიხვდებით, თუ რად გაიძახიან,—მამების ეროვნული მოძღვრება უზნეო და უადამიანოაო. ახალთაობის რაინდს ჰგონია, რომ ჩვენს „მამულის შვილობას“, თავისის თავის გარეშე, სხვა არა სწამს-რა და ყველა მეზობელ ერს სდევნის. აკი ამიტომაც ცილი დაგვწამეს და ხმა დაგვიყარეს,—„ივერია“ სომეხთა ჭამიააო... მაგრამ მხოლოდ ჩვენის ლიტერატურის და ცხოვრების სრული უმეცარი თუ იტყვის,—ეროვნულ პრინციპში ახალთაობამ შეიტანა „ზნეობრივი ელემენტი“ და „ადამიანური საფუძველიო“. ჯერ ერთი, რომ თვით ეროვნულ პრინციპის თვისება, სხვათა შორის, ზნეობა და ადამიანობაა. ეგრეც რომ არ იყოს, ვინ არ იცის, რომ ჩვენის „მამების“ ლიტერატურულ მოღვაწეობას ღრმა ბეჭედი აზის მაღალი ზნეობისა და ადამიანობისა. ამ მოღვაწეობის სათავედ ევროპიული ჰუმანიური მიმართულება შეიქმნა და პირველად ჩვენმა „მამებმა“ უარჰყვეს ყოველივე აზიური და ეროვნებასაც ვრცელი და ფართო გზა გაუკაფეს. კარ-შეკეტილი, თუ გნებავთ, ჩინური მამულის შვილობა ნამდვილი სულთა-მხუთავი მაჯლაჯუნაა ყველა ხალხისთვის და მიზეზიც ეს იყო, რომ „მამებმა“ პირველადვე ზნეობრივი და ადამიანური ეროვნება დასწერეს ბაირაღზედ. ძველი თაობა მკაცრად შეება აწინდელ „მამებს“, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. აბა, მოიგონეთ აკაკისა და ი. ჭავჭავაძის შეხლა გრ. ორბელიანთან და სხვა მსგავსი ამბები... ამის შემდეგ, განა მართლაც და უზნეო და უადამიანო ქცევად არ უნდა მივიღოთ, როცა ახალთაობის რაინდი ჩვარში ახვევს აწინდელ „მამების“ ეროვნულ მოძღვრებას?.. თუ არა და, აბა, ერთი დაგვისახელონ და გვიჩვენონ,—სად და როდის მოსცხეს „მამებმა“ ეროვნულ პრინციპს

რა გამწარებულია მათი მდგომარეობა, მეტადრე, თუ სახლში ორი შაურიც არ მოეძებნებათ ქანა-ქინა, ინგლისის მარილი იყიდონ. ვაი, რომ მრავლად არიან ქიზიყის სოფლებში ამისთანა ოჯახები!..

X.

—

იანეთი (ქვემო იმერეთი). წარსულს ქრისტეშობისთვეს 24-ს, ღამის 12 საათზე, სოფელ იანეთში მედუქნეს დავით კოპალეიშვილს მიუხდა ვიღაც ბოროტმოქმედი ოთხი კაცი; ალილო იციან იმ ღამეს, მიულოცეს ქრისტეშობა გარედგან. მედუქნეს კარი გაუღია. იგინი შესულან და როდესაც მედუქნეს მათთვის ღვინო უნდა ჩამოესხა, მათ სანთელი გააქრეს, დახლიდგან 25 მანეთი გაიტაცეს და გაიქცნენ.

ეწრელი.

—

ზუგდიდი. ჩვენს დაბაში ცხოვრება, როგორც ზაფხულში, ისე ზამთარშიაც ერთგვარად მიმდინარეობს. ცვლილებას მარტოკა ტანისამოსსა და ჰავის მდგომარეობაში თუ შენიშნავთ! ყოველგან რაღაც მოწყენილობის ელფერს ატყობთ, თითქოს აქ იყოს დამკვიდრებული ჩინებული საუკუნო სამეფო. გამოდიხართ ზუგდიდის კეკლუც ბულვარში და აქაც იგივ სულთამხუთავი მოწყენილობაა, იგივ ცხოვრების ერთგვარობაზე საერთო ჩივილი, უკმაყოფილება და ბედზე სამდურავი. მხოლოდ კვირა-პარასკეობით, როცა სავაჭრო მიზნით სოფლებიდგან ხალხი ბლომად იყრის თავს, ჩვენი დაბა იღვიძებს, მკვირცხლად ფაცი-ფუცობს, მოძრაობს და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. დაიშალა ხალხი, დაბრუნდა ისევ სოფელში და დაბაც საღამოს ძილს ეძლევა.

არავითარი ჭკუა-გონების განმავითარებელი და გასართობი საზოგადო დაწესებულება აქ არ არსებობს. იყო დრო, როდესაც აქ დიდის ვაი-ვაგლახითა და შრომით გახსნილი წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობდა, რომელსაც შეძლება ჟურნალ-გაზეთებით თუ წიგნებითა კარგი ჰქონდა, კითხვის მსურველნიც ბლომად ჰყავდა, მაგრამ საწყალობელმა სამკითხველომ „მიზეზთაა გამო სხვათა და სხვათა", თუ ჩვენის უთავბოლოობით ჩაილულის წყალი დალია და სულიც განუტევა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!!

მდგომარე დღესასწაულებმა ჩვენის დაბის ცხოვრებაში ცოტა ცვლილება შეიტანა. რა თქმა უნდა, ეგ ცვლილება უფრო მომეტებულ ჩაცმა-დახურვაში, ღვინის სმასა და ბანქოს თამაშში გამოიხატა, მაგრამ იყო ერთი ღირს-შესანიშნავი გარემოებაც, რომელმაც საზოგადოებას სხვა უფრო სასიამოვნო ელფერი დასდო და საკნად საერთო ლაპარაკისა გახდა. საქმე ის არის, რომ აქაურ სცენის მოყვარე ახალგაზდობამ, ბ-ნ პეტრე მ. კეოდიას გამგეობით, ზუგდიდში წარსულს 29 დეკემბერს ორ-კლასიან სამრევლო საქალებო სკოლის დარბაზში საქველ-მოქმედო აზრით გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ჩვენის სახელოვანი პოეტის აკაკი წერეთლის ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამა „პატარა კახი" და ვოდევილი 1 მოქმედებად: „არც აქეთ, არც იქით" ვ. გუნიასი.

ვისაც თეატრისა ცოტა რამ გაეგებოდა, არ ელოდა, რომ ასეთი რთული პიესა, როგორიც არის „პატარა კახი", აგრე ჩინებულად ჩაიარდა. პირ-იქით, ყველა მოთამაშეებს იმ თავიდანვე გაეგოთ, რომ არა სახუმრო საქმეს ჰკიდებდნენ ხელსა და მეტად კარგად მომზადებულიყვნენ. სცენის მშვენივრად მოწყობილება და მოთამაშეთა წარსულ დროის შესაფერი ტანისამოსით მოკაზმულობა დამსწრეთა ჰხიბლავდა. ვოდევილმა, თუმცა მოთამაშენი ცოტა კოჭლობდნენ, მაინც მხიარულად ჩაიარა. შემდეგ წაკითხულ იქმნა კარგის შინაარსის ქართული ლექსები. ლექსების კითხვამ საზოგადოება თამაშზედ არა ნაკლებ ასიამოვნა. საათის პირველზე ბლომად თავმოყრილმა საზოგადოებამ მოთამაშეთ დიდი მადლობა გამოუცხადა და დაიშალა. წმინდა შემოსავალი 120 მანეთამდე იყო.

2-ს იანვარს იმავ სცენის მოყვარეთა, ბ-ნ მ. გუგუშვილის მონაწილეობით, კვლავ გამართეს წარმოდგენა. დადგმულ იქმნა „ქართველი დედა", დრამა 4 მოქმ. ა. ცაგარლისა და ვოდევილი 1 მოქმ. ნ. ყიფიანისა „ცოლი ორი დღით". მიუხედავად იმისა, რომ მოდიოდა კოკისპირული წვიმა, აუარებელი ხალხი მიაწყდა თეატრის დარბაზს. ბილეთები ერთიანად გაიყიდა. ამ საღამოსაც მოთამაშეთ მეტად ისახელეს თავი. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები და მადლობელი დარჩა. შემოსავალი, ბილეთების ფასის დაკლებისა გამო, 90 მ. იყო. მადლობის ღირსია ბ-ნი მ. გუგუშვილი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა მოთამაშეთ.

როგორც ისმის, კიდევ რამოდენიმეჯერ გამართვენ წარმოდგენებს პატივცემულნი მოყვარენი სცენისა და შემოსავლით არსდება, როგორც სამკითხველო, აგრეთვე სამუდამო სცენა. ვისურვებთ, რომ სცენის მოყვარეებმა მეტის ხალისით განაგრძონ ჯერ ხანად კარგად დაწყებული საქმე და ბოლომდის ისე მიიყვანონ იგი, რომ ჩვენი საზოგადოება, სცენის სიყვარულით გამსჭვალული, ქართულს თეატრში ხედავდეს ცხოვრების ნამცვილს სარკეს, იქ ნანახს და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობას დიდად სასარგებლოდ იყენებდეს თავის და წინ სასვლელად!

მიქელ ვერმიცანაშვილი.

—

ჭიათურა. არსად მუშის ყოფა-ცხოვრება არ არის ისეთ საზიზღარ, შეუძლებელს გარემოებაში, როგორც ეს ჩვენ კურთხეულ ჭიათურაშია. არსად, არც ერთ სამრეწველო ცენტრში ისე ნაკლებად არ ზრუნავენ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც ჭიათურაში. ვისაც-კი უნახავს ჭიათურა, ცოტათი მაინც გასცნობია მის ავკარგიანობას, დაჰკვირვებია მუშების ვითარებას, დამეთანხმება, რომ ძლიერ გულქვა და შეუბრალებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ მისმა დანახვამ, დაკვირვებამ გული არ შეუზაროს, მწუხარება არ აგრძნობინოს და თვალზედ ცრემლები არ მოჰგვაროს.

„მერე სად არის შავი-ქვის მრეწველთა საბჭო? ნუ-თუ არაფერს სცდილა, არაფერს ზრუნავს ამის შესახებაო?"—იტყვის მკითხველი!

სად არის საბჭო? სად და ქუთაისში და არა ჭიათურაში.

— სცდილობს, ზრუნავს, რასმე მუშების შესახებ?—არაფერს, თუმცა ბევრი ილაპარაკეს და კიდევ ბევრს ილაპარაკებენ, ბევრი ითქვა ამ საგნის შესახებ და კიდევ ბევრი ითქმება, მხოლოდ საქმეს არა ეშველება-რა მანამდის, სანამ დღევანდელი საბჭო ძირიანად არ შეიცვლება, მანამ სათავეში ნამდვილ საქმის ხალხს არ დავინახავთ და არა მარტო ცარიელ სიტყვების მლაღადებელს. მარტო სიტყვა რომ რასმე გვშველიდეს, მარტო სჯა-ბაასი რომ კმარიყოს, მაშინ დღევანდელი საბჭოსთანა, მგონი, მეორე არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, საქმე სხვაა სიტყვა სხვაა.

ჯერ მესამე კრებაზედაც დიდი აღიაქოთი ასტუდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, ბევრი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვა დაიხარჯა, თვით თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას რამდენიმე წინადადება მუშების შესახებ.

აი ერთი მათგანი:

„Докладъ Г. Ф. Здановича" по 15-му вопросу программы: объ учрежденіи пенсіонной кассы или общества страхованія рабочихъ и вообще о мѣрахъ къ улучшенію быта рабочихъ на марганцевыхъ промыслахъ. (იხილე труды III съѣзда марганцепромышленниковъ 1900 г.).

აი, აქ რას ამბობს ბ-ნი ზდანოვიჩი:

Едва-ли будетъ преувеличеніемъ сказать, что, быть можетъ, ни въ одной изъ отраслей россійской промышленности не обращалось такъ мало вниманія на положеніе рабочихъ, какъ въ марганцевой. Промышленность эта существуетъ болѣе 20-ти лѣтъ и до сихъ поръ ничего почти не сдѣлано для улучшенія тяжелыхъ условій существованія горнорабочихъ на промыслахъ... До настоящаго времени нѣтъ на промыслахъ даже жилыхъ помѣщеній для рабочихъ и нерѣдко рабочіе спятъ въ сырыхъ, удушливыхъ штольняхъ, что ведетъ къ частымъ и опаснымъ заболѣваніямъ... Жизнь ихъ не обезпечена ни обстановкой труда, ни другими мѣрами, предпринимаемими со стороны промышленниковъ. Какъ ни грустно костатировать подобный фактъ, но лучше откровенно сознаться въ своей безпечности и невниманіи къ судьбамъ рабочихъ, чѣмъ закрывать на него глаза и тѣмъ лишать себя возможности хотя въ будущемъ измѣнить къ лучшему положеніе тѣхъ, кто своимъ трудомъ поддерживаетъ существованіе марганцевой промышленности...

ასე ჰქადაგებდა ბ-ნი ზდანოვიჩი 1900 წელს. რა გაკეთდა მას შემდეგ, რომელი ერთი დაწესებულება ემსახურება რიგიანად მუშათა ინტერესებს, ან მოუვანიდ იქმნა რომელიმე გადაწყვეტილება კრების სისრულეში? მუშათა ბინები, იაფ-ფასიანი სასადილოები, სახალხო საკითხავები, წიგნთსაცავ-სამკითხველო და სხვა.—რომელი ერთია დაარსებული, ან რომელიცაა, რასა ჰგავს? რასა ჰგავს, მაგალითად, ჭიათურის საავადმყოფო, სადაც ექიმი ორ დღეში ერთხელ ძლივს არის ხოლმე, სადაც მუშები მოუვლელად და უპატრონოდ ჰკვდიან; სადაც, ხშირად კვდება კაცი ექიმის უნახავი და გაუსინჯავი.

აი, თქვენი სასახელო საავადმყოფო, რომელზედაც ათასობით და ათი ათასობით დახარჯულა და საქმე-კი არ გაკეთებულა.

რაც არსებობს ჭიათურის მრეწველობა, მას აქეთ მუშათა მდგომარეობას ოდნავაც არავისგან ყურადღება არ მიჰქცევია, არავის არ უზრუნვია, მისი მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია.

სად არის აქ საბჭოს მოქმედება? ნუ-თუ მარტო სიტყვა კმაროდა, ნუ-თუ კრების გადაწყვეტილებას სისრულეში მოყვანა არ ესაჭიროებოდა?

დღევანდელს კრებაზედ კიდევ იქნება ლაპარაკი, კიდევ ჩართულია პროგრამაში საქმე მუშათა შესახებ. ვნახოთ, რამდენს რას იტყვიან, რამდენს ლამაზ სიტყვებს დახარჯავენ!!.

რაფიელ ჩიხლაძე.

რუსეთი

მოკლე ხანში გზათა მინისტრი სახელმწიფო საბჭოს გადასცემს განსახილველად პროექტს რკინის გზების ადგილობრივ დაწესებულებათა რეორგანიზაციის შესახებ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, განუზრახავს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ნება დართოს 1904 წლის 1 იანვრიდგან გამოსცეს ორგანო „საერობო უწყება", რომელიც უმთავრესს ყურადღებას მიაქცევს საერობო საქმეებს.

— ბეითალთა კრება, რომელიც 3 იანვარს გაიხსნა პეტერბურგში, ათ დღემდის გაგრძელდება. მონაწილეობას კრებაში იღებენ 1,000 კაცამდე.

— სახელმწიფო ხაზინას 15,000 მ. გადაუდვია გეოლოგთა გასაგზავნად თურქესტანში მიწის ძირის გამოსაკვლევად.

— მაქსიმე გორკი ხელ-ახლა შესდგომია დაუმთავრებელ პიესის „Жидъ"-ის წერას. მ. გორკის რამდენიმე პირთათვის წაუკითხავს ნაწილი პიესისა და მათ ძალიან მოსწონებიათ, როგორც შინაარსით, აგრეთვე ტეხნიკით.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. 2 იანვარს დაიწყებოდა ავსტრიის რეიხსრატში სხდომები. განსახილველია შემდეგი საგნები:

მთავრობის კანონ-პროექტი ბრიუსელის შაქრის ხმარების მოწეს-რიგობა შინაურ მხმარებელთათვის, ჯარის-კაცთა გაყვანა, ბიუჯეტი და მწერლობის შესახებ კანონის გადასინჯვა.

შაქრის კანონ-პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს ბოჰემია და მორავიისათვის. ამისათვის მოსალოდნელია, რომ ჩეხთა დეპუტატებიც შეიწყნარებენ მის განხილვას რეიხსრატში.

რაც შეეხბა 1903 წლისათვის ჯარის-კაცთა გაყვანას, ამის შესახებ ჯერ არც თითონ ჩეხებმა იციან როგორ მოიქცნენ: მისცენ ნება მთავრობას განიხილონ ეს საქმე, თუ არა. მართალია 1900 წელს ისინი ობსტრუქციას ადგნენ, მაგრამ ამ წინააღმდეგობას სხვა-დასხვა პოლიტიკური სარჩული ედვა.

ბიუჯეტის განხილვა თუ უკუ-გდება ჩეხის დეპუტატთა მიერ სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვება ნემეცთა და ჩეხთა პარტიათა შორის მოლაპარაკების შეთანხმებას. მოლაპარაკება ამ ორ პარტიათა შორის უკვე დაწყებულია, რომლის ავად თუ კარგად დაგვირგვინებასთან შეკავშირებულია დღევანდელი რეიხსრატის მომავალი ბედ-იღბალი.

მოლაპარაკება ხდება ვენაში, რომელსაც მინისტრ-პრეზიდენტი ფონ-კერბერი თავმჯდომარეობს, და რაშიაც მონაწილეობას ღებულობენ ნემეცთა და ჩეხთა წარმომადგენლები. წინად ნემცებმა შეადგინეს პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოღებოდა ბოლო ენის შესახებ ატეხილს დავას. მაგრამ ჩეხებმა უარჰყვეს ნემეცთა მიერ შედგენილი პროექტი. თუ პროექტების შედგენასა და წერაზედ მიდგა საქმე, არც ჩვენ ვართ სუსტნი ამ საქმეშიო, უპასუხეს ჩეხიის ხალხის წარმომადგენლებმა ნემეცთა პარტიას და წარუდგინეს თავის პროექტი. მაგრამ რა გამოვიდა: თუ პროექტის უარის ყოფასა და დაწუნებაზე მიდგა საქმე, არც ჩვენ ვართ ამ საქმეში ჩამორჩენილნიო—უპასუხეს ნემეცთა წარმომადგენლებმა ჩეხიის პარტიას და უარჰყვეს პროექტი.

ასე იყო თუ ისე დრო პროექტების შედგენაში და დაწუნებაში მიდიოდა. საჭირო იყო, რომ ორივე მხარეს ცოტ-ცოტა რამ დაეთმოთ ერთმანეთისთვის. და აი, კიდეც დაიწყო მოლაპარაკება შეთანხმების და დათმობის შესახებ. მთავრობამ შეადგინა ახალი კანონ-პროექტი ენების შესახებ. მას ჰსურს არც მწვადი დასწვას და არც შამფური და ორივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე პარტიათა წარმომადგენლები ერთმანეთს როგორმე შეარიგოს. ვნახოთ, როგორ დაბოლოვდება ეს შეთანხმება, რა გვარად წავა საქმე რეიხსრატში ზემო ჩამოთვლილ საგნების განხილვის დროს.

ჩინეთი. მოგეხსენებათ, რომ ჩინეთის სახელმწიფომ აუარებელი კონტრიბუცია უნდა გადაიხადოს ევროპის სახელმწიფოთა სასარგებლოდ. და აი, ეს აუარებელი გარდასახადი ვის უნდა დასწოლოდა მძიმე ტვირთად კისერზედ, თუ არ ჩინეთის მუშა ხალხს. და ეს ასეც მოხდა. შემოიღეს ათასგვარი ახალი გარდასახადები და გააძლიერეს ძველი, მაგალითად სახლზე, შაქარზე, ღვინოზე, ოპიუმზე და სხ. ამავე დროს ჩინეთში აუარებელი ბუდდას სარწმუნოების მღვდელია და ბერი, რომელნიც არავითარს გარდასახადს არ იხდიან და არხეინად ცხოვრობენ მშრომელი ხალხის ნაოფლარზე.

გაზეთ „შენ-ბაო"-ს გამოკვლევით, 13,000 ეკლესიაა იმპერატორის ბრძანებით აშენებული და 60,000-მდე კიდევ სხვა. 140,000 მღვდელი და ბერია, რომ თვითეულ მღვდელმა და ბერმა რამდენიმე მანეთი გარდაიხადოს ხაზინის სასარგებლოდ, ეს რამდენიმე მილიონს მანეთს შეადგენსო, ამისთვის საჭიროა არა პირდაპირი გარდასახადი შემცირდეს და შემოსავალი ამგვარ გარდასახადისაგან შეივსოსო, სამართლიანად სწერს „შენ-ბაო".

— ჩინეთის საზოგადოება და პრესა ბევრს ლაპარაკობს ორ ინგლისელ მისიონერის მოკვლის შესახებ. ამის გამხუნაზის პროვინციის მოხელეთა დასჯის შესახებ. მაგალითად აი რას სწერს გაზეთი „სინ-გან-ბა":

საერთაშორისო საქმეები თანდათან უფრო გამწვავდა. ომი დინამიტსა ჰგავს, რომლის პატრუქს, საკმარისია, ცოტა წაუკიდო, რომ ერთბაშად აფეთქდეს.

ჩვენი წყლები და მდინარეები უცხოელთა სამხედრო გემებით აივსო, ჩრდილოეთიდან მოკიდებული სამხრეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. მარტო რომ ამ გემებზე ბაირაღებისთვის წავეკიდებია ცეცხლი, მისი ალი მთელს დედამიწას მოედებოდა. მაგრამ ჩვენ ამ გვარი ბოროტ-განზრახვა თავის დღეში ფიქრადაც არ მოგვივა.

ჩენ-ჯუს საქმეც ამ პატრუქს წააგავს. როგორ შეიძლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, როცა ქვეშევრდომთა დაჯილდოებისა და დასჯის უფლება სხვა სახელმწიფოს ხელშია?

როცა თქვენ გეუბნებიან—დააჯილდოეთო,—თქვენც აჯილდოვებთ, რომლის წყალობითაც მოსამსახურე მანდარინი ხდები. როცა გეუბნებიან—დასაჯეთო,—თქვენც სჯით და მანდარინებს ისე ექცევით, როგორც უბრალო მოსამსახურეთ.

როცა სახელმწიფო დაუძლურებულია, მას შეუძლია კიდევ იმედი იქონიოს თავის ხალხისა; როცა სახელმწიფოს სახელი გაუტყდა, იმედოვნებენ რომ გატეხილს სახელს ხალხის ენერგია აღადგენსო.

ბოქსერებს უკანასკნელად მომხდარ ამბე-

უზნეობისა და უადამიანობის ჩირქი. საბუთია საჭირო, თორემ ლიტერატურულ ჭორიკანობაზედ ადვილი არა არის-რა. შინ და გარედ ჩვენი ლიტერატურული მიკროცეფალები სახელსა და პატივს უტეხდნენ ჩვენს ეროვნულს მისწრაფებას და ასე ჰგონიათ, ამით დიდს საუნჯეს, ახალს და ხალას ელემენტს ჰმატებენ ქართულ მამულიშვილობას. ვაი თქვენს უკუღმართობას!..

ერთი რამე-კი მართალია: ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენს ეროვნულს ღაღადისს გადაჭარბება ეტყობა, ხანდახან ჩვენი „წარსული" მეტის ქებითა და დიდებით იხსენიება, მაგრამ აქ არაფერი უზნეო და უადამიანო არა არის-რა. პირიქით, გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ბევრ ჯელ სასარგებლოც არის და იმედსა და სასოებას უღვიძებს ხალხს. არც ერთი პაწია ერი არ ასცდენია ამ გზას. რა არიან ლუჟიჩანები გერმანელთა ხელში და ისინიც-კი მედიდურებენ!.. სუდრის გადაფარება და საფლავში ჩასვენება იქმნებოდა, რომ ჩვენისთანა პაწია ერმა თავმოყვარეობა დაჰკარგოს...

თვით ისტორიული სკოლა, რომელმაც მკვიდრი საფუძველი დაუდო ეროვნულ მოძრაობას, უკიდურესობას ვერ აშორდა. უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამ სკოლამ ეროვნების მნიშვნელობა მეტად გააზვიადა, წრეს იქით გადააცილა, თუ ასე ითქმის—ერივე განადიდა... ისტორიულმა სკოლამ დიდი გავლენა იქონია ეროვნულ პრინციპის აღორძინებაზედ და თითქო თავისი უკიდურესობა კიდეც უანდერძა ამ პრინციპს. დიაღ, ყველგან ეროვნული აღორძინება თავმოყვარეობით დაწყებულა და ამ გზით უვლია. ჩვენშიაც ასე მოხდა. მაშ რა არის აქ უზნეო და უადამიანო?!.

ახალ თაობამ შეიტანა ზნეობა, სიცოცხლე და ადამიანობა ეროვნობაშიო. და რაკი ამ ახალ თაობის ბაირახტრად „ცნობის ფურცლის" რაინდიც ითვლება, ამიტომ მისი ზნეობრივი, ადამიანური და სიცოცხლით სავსე ეროვნული "ელემენტი" უნდა გავაცნოთ „მამებს". მართალია, ამ ელემენტს ეროვნული სრულიად არა აცხია-რა, მაგრამ ახალ თაობის რაინდის „ეროვნება" მაინც საყურადღებო უნდა იყვეს „მამებისთვის".

ზემოდ აღვნიშნეთ, როცა „ცნობის ფურცლის" რაინდი სამჯავროს წინაშე წარადგინეს, იგი იჯმნა თავისის „ნამდვილ მეგობრისაგან" და სიტყვითა და კალმით აღიარა—მე იმის თანამოაზრე არა ვარ, „მე მთელის არსებით ნამდვილის მეგობრის აზრებს ვებრძვიო"... („ცნობის ფურცელი" № 2007). შჩედრინი ამბობდა, ამ ლიტერატურულ გახრწნილობის დროს ბოდიშის მოხდაც დიდი გმირობააო და ჩვენი რაინდიც ბარაქალას ღირსია, რომ უარჰყო თავისის „ნამდვილ მეგობრის" ველური მოძღვრება. მაგრამ... მაგარი ჯერ ისაა, როგორც ხე ნაყოფით, ისრე კაცი მეგობრით იცნობება. ტყუილად-კი არ ამბობს ერთი ანდაზა,—მეგობარი მიჩვენე და მოგახსენებ, ვინც ბრძანდებიო. ამიტომ „ცნობის ფურცლის" რაინდის ბოდიში, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მიიღეს. მართლაც და, ამაოდ ირჯება ახალთაობის რაინდი—„მე მთელის არსებით ნამდვილ მეგობრის აზრებს ვებრძვიო"... არა და არა! „ცნობის ფურცლის" რაინდსა და მის ნამდვილ მეგობარ შორის სრული ერთსულობა და ერთგულობა სუფევს, იგინი ტყუპნი არიან და მათი „ზნეობრივი, ადამიანური და სიცოცხლით სავსე ეროვნული ელემენტი" ერთი და იგივეა. საუბედუროდ, რაინდს ან ძალა დაადგა, რომ განუდგა ნამდვილ მეგობარს, თუ არა და—მეხსიერებამ უღალატა და დაავიწყდა, წინად თვითონ რასაც სწერდა.

ნამდვილ მეგობარზედ ადრე „ცნობის ფურცლის" რაინდმა საქვეყნოდ გამოამზეურა მისი ეროვნული ელემენტი და ღაღად ჰყო ხმითა დიდითა: ჩვენ არასოდეს არ გაგვიხდია ღმერთ-კერპად ეროვნული არსებობა. ჩვენთვის პირველი საქმეა ადამიანობა და არა ქართველობა. ეროვნება არ არის თვით—მიზანი, იგი მხოლოდ საფეხურია უმაღლეს ერთობისა—საზოგადოებისადმი"... („ცნ. ფურ." № 1922) როგორც ჰხედავთ, აქ არსებადი თვისება ეროვნებისა უარყოფილია,—საქმე ქართველობა როდია, საქმე ადამიანობაა, ეროვნება სოციალური ტაძარი კი არა, არამედ შენობის კიბის უბრალო საფეხურიაო... ეს გახლავთ სასიქადულო ახალი ეროვნული ელემენტი! ამაზედ მეტს არც „ნამდვილი მეგობარი" ამბობდა!.. მერე ამდგარა ჩვენი რაინდი და უმაღლესის ერთობის საფეხურზე" მიფოფხავს და საცოდავად ეპოტინება – „კაცობრიობაა ჩვენი ღმერთი, რომლის დიდების წინაშე თავი უნდა მოიხაროს ქართველის დიდებამაო"(ibid).

ჩვენც თავს მოვიხრიდით, მაგრამ გვეშინის რომ რაინდს ფეხი არ მოუსხლტეს და ერთობის საფეხურიდგან" ძირს ტყაპანი არ გასძვრეს და ზედ არ დაგვატყდეს!..

მართლაც და, სასაცილოა, როცა პუბლიცისტს ეროვნების ანბანიც არ ესმის და ეროვნულ ელემენტის ძიებაშია. ჩვენს რაინდს ასეთ ელემენტად ადამიანობა მიაჩნია, მაგრამ ეს ადამიანობა ზოგადი სიტყვაა და სრულიად არ შეადგენს ეროვნების ნიშნობლივს თვისებას. მაგალითებრ, ქართულ ეროვნების აღსანიშნავად უპირველეს ყოვლისა ქართველობაა საჭირო. თუ ქართველობა მოისპო, მაშინ eo ipso ქართული ეროვნებაც უნდა აღიგავოს. ამიტომ პირველ სალოცავად ქართველობა უნდა ვიწამოთ. ჩვენმა წინაპრებმა უბრალოდ კი არ აღმართეს ქართლოსის სახსენებლად უპირველესი და უდიდესი კერპი... შემდეგ ამ კერპის ადგილი ეკლესიამ დაიჭირა, მაგრამ იგი ეკკლესიაც ქართული იყო და თავის სასიქადულოდ მედგრად იბრძოდა ქართველებისათვის. ჩვენს რაინდს ჰგონია, ვითომ „პირველი საქმე ადამიანობაა და არა ქართველობა". მაგრამ რამდენი ადამიანია, რომელსაც ქართველი არ ეთქმის. ეროვნებას ჯერ ერადობა ესაჭიროება და მერე ადამიანობა. თვით ადამიანობა უფრო ზნეობრივი ცნებაა, ვიდრე ეროვნული და ამიტომ იგი ეროვნებას არ ახასიათებს...

„კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო"... თუმცა შეუძლებელია ასეთი უწმიდესი ღმერთი ვანქის უბანში მოთავსდეს, მაგრამ მაინც პატივი და დიდება ამ უბანს... ხოლო ჩვენის რაინდის უმეცრება-კი ისევ საოცარია. ამ რაინდს ეროვნება, ადამიანობა და კაცობრიობა ერთი-ერთმანეთში დომხალივით აურევია და თანაც გაიძახის—ახალი ეროვნული ელემენტი აღმოვაჩინეო. სად ეროვნება და სად კაცობრიობა! სად პატრიოტობა და სად კოსმოპოლიტობა! ღმერთო, შენ უწყი, რომ აქ საერთო არაფერია!..

ჰმ, კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო.. ღიაღ ეგ-ღა გვაკლდა, რომ ქართველობაზედ ხელი აგვიღოთ, ეროვნული ტაძარი დავაქციოთ და კაცობრიობის დიდებას შევუდგეთ!.. მაშინ ვიშ ჩვენს ნეტარებას!.. ამაზედ შორს ვეღარ წავა ქართველ ლიტერატორის ფანტაზია. მაგრამ აკი მოგახსენეთ, ლიტერატურულმა ხაშხაშმა გასჭრა მეთქი. მართლაც რომ, ლონივრად გასჭრა და ამიტომაც ვანქის უბანში ეროვნულმა უკუღმართობამ ასე ფეხი აიდგა. მაშ რაღა საკვირველია, რომ იქ სიტყვა აირია და კალამი გაბრუნდდა...

ბზიკი.

ბის დროს აზრად ჰქონდათ უცხოელთა დასჯა და სამაგიეროს გადახდა; თუ ისინი მთავრობის წინააღმდეგ წავლენ, მაშინ უარესი საქმე დატრიალდება, ვიდრე ეს 1900 წელს იყო. ტაიპინგებს და მაჰმადიანებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ უცხოელთათვის. ეს იყო მაშინ, როცა სახელმწიფო ქონებრივად კარგს მდგომარეობაში იყო.

მაგრამ ახლა-კი, როცა ხაზინა დაცალიერდა, ჯარი შესუსტდა, თანამემამულენი გაღარიბდნენ, ეხლა მით უფრო საშიშია რევოლიუციის მოახლოებისა, როცა მრავალი საიდუმლო საზოგადოებანი მცირე შემთხვევას უცდიან, რომ აღელდნენ და აღიმაღლონ ხმა...

ორი უცხოელთა მისიონერის სიკვდილი არაფერია იმ უკანონობასთან შედარებით, რომელიც ამ საქმეს ადგილობრივ მოხელეთა დასჯა მოჰყვა.

ვიცე-კოროლი-გუბერნატორი უცხოეთის ელჩის გავლენის ქვეშ იმყოფება. იმპერატორი ჩამოდის ტახტიდან და უცხოელთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ეგებება, რომელთა წინაშე მუხლს იდრეკს და ყანწსა სცლის მათ სადღეგრძელოდ.

ვიღაცამ იმასხარა: უცხოელთა ელჩები იმისთვის არიან პეკინში, რომ ჩინეთის სახელმწიფო განაგონო. ჩვენ გვეგონა ეს ამბავი ხუმრობა, მაგრამ მართალი გამოდგა.

ჩვენი იმპერიის ტერიტორიის კარები ყველა სახელმწიფოთათვის ღიაა. ჩვენი კანონები მხოლოდ ყვითელ კანიანებს სჯის და სხვას არა.

სატამოჟნო შემოსავალი რატომ არ არის ჩვენს ხელში? რისთვის არ ვსცვლით ჩვენ მოხელეებს მანამდე, სანამ ამას უცხოელები არ მოითხოვენ? რისთვის არაა ჩვენთ ხელთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქებრივი, საფინანსო და სამოსამართლო უფლებები? რათა? იმისთვის, რომ ჩვენ საქმის გაძნელების გვეშინია, გვეშინია, რომ სადიპლომატო პოლიტიკა უცხო სახელმწიფოებთან არ გამწვავდეს, ნამდვილად კი...

ამ გვარი მდგომარეობა აღონებს ცასა და დედამიწას და ლამის არის მდინარეები კალაპოტიდგან გადმოვიდნენ.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო თეატრი. შაბათს, 4 იანვარს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში სცენის მოყვარულთ წარმოადგინეს „დამნაშავეა?" დრამა 3 მოქმედებად, თარგმანი ნიკიტინისა. გულის მწუხარებით უნდა აღვიარო, რომ სახალხო სექციამ „დამნაშავეა?"-ს დადგმით დიდი დანაშაული მოიქმედა, რადგან ძალა არ შესწევს ამ პიესის ასასრულებლად.

ყველა სცენის მოყვარულნი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა ვინ უფრო ცუდად ითამაშებსო, გარდა ნიკო გოცირიძისა (ადოლფ-კრამერი) და ს. რომანიშვილისა (მართა ლიერი), რომლებმაც საერთო ფერხულს უღალატეს და, ცოტად თუ ბევრად, გარკვეული ტიპები დახატეს.

გ. ქაჩაური (შმიდტი), ი. ძნელაძე (გუსტა შერბერი), დ. სხირტლაძე (გერბერტი, სახელმწიფო მოსამართლე) და თვით ქართულის თეატრის მსახიობი ი. რომანიშვილი (გამომძიებელი) ლანდნი და მოჩვენებანი იყვნენ და სხვა არაფერი...

ქ. დავიდოვი სცენაზე ისე ლაპარაკობს, როგორც მეხუთე კლასის გიმნაზისტკა, რომელიც მხოლოდ იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ ჩქარა-ჩქარა სთქვას გაკვეთილი და ხუთი მიიღოს.

კარლის როლის ამსრულებელი ვ. ჯაბაური ცერცვივით დახტოდა სცენაზე, მაგრამ ეს არ კმარა.

„წყეულ იყოს ის დღე და ის წამი, როდესაც მე დავიბადე", სთქვა იერემიამ, როცა გადაავლო თვალი თავის უნუგეშო მდგომარეობას. „წყეულ იყოს ის დღე და ის წამი, როდესაც მე აზრად მომივიდა ტომას ლიერის როლის თამაშობა",—უნდა სთქვას კ. ჯაფარიძემ, რომელიც 4 იანვარს ტომას ლიერის როლს ასრულებდა, მაგრამ-კი ვერ შეასრულა. ყველაფერს თავი დავანებოთ და გავიხსენოთ ის მომენტი, როდესაც მრავალ წვალება გამოვლილი, სულით ხორცამდე დაჩაგრული, თავის კარმიდამოს, ცოლს, შვილს და თავისს სამშობლოს სხივსაც მოკლებული დანაშაულო ტომასი კვლავ დაბრუნდება ათის წლის შემდეგ თავისს სახლში. გამოცნაურება ცოლს, რომელმაც ქმრის მოშორების შემდეგ სხვა მრჩენელი იშოვა. ელაქცევა, ეალერსება ჟამთა ვითარებისგან ერთიან შეცვლილს ცოლს. ამ დროს გარედგან კარს აკაკუნებს ადოლფი, რომლის დაახლოება მართასთან ტომასმა არ იცის... ცოლი ტომასს ეტყვის, შენ პატარა ხანს გარედ გადი, ამ სტუმარს უნდა მოველაპარაკოო, რასაც ტომასი ასრულებს დაუყოვნებლივ... სცენაზე შემოდის ადოლფ,—ეს საძაგელი კაცი, და შემბღალველი ტომასის ოჯახისა და მის სახელის პატიოსნებისა, და დაუწყებს მართას ჩხუბს ისე, როგორც საკუთარს ცოლს, არა თუ ცოლს, არამედ როგორც მოსამსახურეს, თვის სურვილების ასასრულებლად გაჩენილს საგანს, მანქანას... ამ დროს შემოიპარება სახლში ტომასი და ამ ჩხუბს ყურს უგდებს... ჰხედავს, რომ მას ძვირფასს ცოლს, რომლის ცქერით და ალერსით სიყმაწვილის დროს ვერ დასტკბა, სიბერის დროსაც სხვა ართმევს, ეცილება და თავისს ფეხთა მტვრად ჰხდის... ამ დროს ხმას არ იღებს ტომასი და ყურს უგდებს ამ სცენას, მაგრამ მისი ყოველი ნაბიჯი, სუნთქვა, ხელის განძრევა, ცხადად გამოჰხატავს მისს სულიერს მდგომარეობას... და რას ვხედავდით ჩვენ ამის მაგივრად? კ. ჯაფარიძეს, რომელიც იდგა ერთს ადგილას და თვის დამამცირებელს სცენას გულგრილად უყურებდა, ხოლო როცა ასე ცქერა მოსწყინდებოდა, მაშინ ადგილს იცვლიდა...

გასაკვირველია და ამასთან სამწუხაროა, რომ სახალხო სექციამ ტომას ლიერის როლის ასასრულებლად ვ. გუნია არ მოიწვია, ან სულ არ გადასდეს პიესა...

ა—ნა.

ნარკვევი

„Нов. Обозрѣніе"-ს სწერენ ქუთაისიდან შემდეგს, ფრიად საყურადღებო, ამბავს.

ადგილობრივ გუბერნიის სამეურნეო კომიტეტმა თავის სხდომაზედ, გუბერნატორის—გენერალ-მაიორ სმაგინის თავმჯდომარეობით, 3-ს იანვარს სცნო, რომ ეხლანდელი სწავლება სახალხო სკოლებში ყოვლად უვარგისს საფუძველზეა დამყარებული და გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ სკოლებში უეჭველად საჭიროა ყველა საგნის სწავლება მოეწყოს დედა-ენაზედაო, რადგანაც მხოლოდ დედა ენას შეუძლიან იხსნას გლეხკაცობა უკიდურეს უმეცრებისაგან და გაავრცელოს საღი პირველ-დაწყებითი განათლება. ხოლო სწავლება სახელმწიფო ენისა, ესრედ წოდებულის ,,Натуральный методъ''-ით, მიიჩნია უკიდურეს უკუღმართობად და, სხვათა შორის, სასტიკ კრიტიკის ცეცხლში გაატარა ცნობილი კურსი ლევიცკისა, რომელიც შედგენილია ამ მეთოდის მიხედვით. ბევრმა კომიტეტის წევრმა მოიყვანა მრავალი ფაქტი იმის დასამტკიცებლად, თუ რა სამწუხაროდ და სამასხაროდ მიმდინარეობს სახელმწიფო ენის შესწავლა აქაურ სახალხო სკოლებში ამ კურსის წყალობით.

თითქმის ერთხმით დაადგინა კრებამ, რომ სახელმწიფო ენის შესწავლა სკოლებში უნდა სწარმოებდეს აუცილებლად დედა-ენის შემწეობითაო. ამისთანა სამართლიანს გარდაწყვეტილებას სულით და გულით ვეგებებით.

წერილები

რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო,

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადაუხადო ბატონ ალექსანდრე მაისურაძეს, რომელმაც ანაგის სამრევლო სკოლის მოწაფეებს „შობის ხე" გაუმართა 31 დეკემბერს. ბავშვებმა დიდად გაიხარეს, რადგანაც შობის ხე ბევრს არც-კი ენახა თავის დღეში. სკოლაში რამოდენიმე გარეშე ხალხი დაესწრო, ბავშვებმა ლექსები წაიკითხეს ქართულად და რუსულად, იმღერეს და იცეკვეს.

ანაგის მასწავლებელი ბაბალე ფიცხელაური.

II

წარსულ წლის „ივერიის" 278 №-ში მოთავსებულია ოზურგეთიდგან გამოგზავნილი, ვიღაც გუნთაიშვილის პატარა კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სბრძანებს: „ხანდახან (?) მართვენ წარმოდგენას (იგულისხმე ოზურგეთში) ღარიბთა სასარგებლოდ და ფული სად მიდის, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა უწყისო"... ეს ყოვლად სიმართლეს მოკლებული, ცილის წამებითი სავსე სიტყვები შეეხება 22 ნოემბერს ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენას. ვინაიდგან აგერ 8 თვეზე მეტია, ამის მეტი წარმოდგენა და ისიც საქველმოქმედო მიზნით, ოზურგეთში არ ყოფილა, როგორც საზოგადოდ მიღებულია, ამ წარმოდგენის ყოველივე ანგარიშებიც დაწვრილებით გამოცხადებილი იყო თავის დროზე ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში", ხოლო ხარჯს გარეშე წმინდა შემოსავალი დანიშნულებისამებრ გადაეცა „ღარიბ მოწაფეთათვის მზრუნველ კომიტეტს" და სწავლის ფულიდანაც დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნა 20 მოსწავლემდე. ეს არა „მარტო მაღალმა ღმერთმა" არამედ თითქმის ყველა ოზურგეთელმა კარგად „უწყის" და იცის! გუნთაიშვილს-კი ეს ამბავი ან ორ თვალს შუა გამოჰპარვია და მაშასადამე, თინთლიბაზობს, ან და ცილის წამებით წარმოდგენის გამგე-მოთავეთა გამურვა მოუსურვებია... ორსავე შემთხვევაში, საკვირველია თუ რაში გამოადგა გუნთაიშვილს ასეთი ყოვლად საზიზღარი და ფეხ-მოკლე ჭორიკანობა?!

№. №—შვილი.

Ш.

(ბ-ნ ნესტორ ფილიას საპასუხოდ.)

წავიკითხე ბ-ნ ნესტორ ფილიას წერილი (იხ. ივერია № 2) ჩემდამი მომართული. წავიკითხე და მის წაკითხვაზედ გულიანად გამეღიმა.

რა იყო იმისთანა, რომ ქარ-ბუქის კორიანტელი აეყენეს—და ვინ იცის, რა არ გვიწოდეს? ის, ბატონებო, რომ, რასაც თვითონ ბ-ნი ფილია არსად არ ჰმალავს, ის ორიოდე სიტყვით გახლდათ მოთხრობილი „ივერიის" № 279-ში, ეს ამბავი თვით ბ-ნ ფილიას ენა-პირიდგან გახლდათ გაგონილი და იოტის ოდნადაც შეურაცმყოფელი არ იყო, არც ფილიასი და არც მისის ოჯახობის. არც გვქონია არავითარი განზრახვა ვისთვისმე შეურაცყოფა მიგვეყენებინა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ზოგიერთი ადამიანი იმას ამოიკითხავს შენს სულსა და გულში, რასაც არა ჰფიქრობ. ეს არის მხოლოდ „კორიანტელის" აყენების მიზეზი. ბ-ნი ფილიაც სწორედ ამ გვართაგანების ფერხულში ჩაბმულა.

ამით ვათავებთ ჩვენ ბ-ნ ფილიასთან ყოველ დავი-დარაბას და მიწერ მოწერას, ჩიტი ბდღვნად არ ღირდა და უკან დევნა მეტი იყოო".

მეთვალყურე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

7 იანვარი.

პეტერბურგი. კრონ პრინცმა სხვა დროისთვის გადასდო ნოვგოროდში წასვლა გაციების გამო.—სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ სოფელ ბოდაიბოში,—ირკუტსკის გუბერნია,—გაიხსნა ბანკის განყოფილება, რომელშიაც მიიღება ფული პოჩტით და დეპეშით და საბანკო საქმეები.

ხარბინი. ამ მოკლე ხანში მოჰკლეს, როგორც ფიქრობენ, სახალინელებმა, სასამზღვრო მცველთა ორი დარაჯი, რომელნიც პოლიციელთა მოვალეობას ასრულებდნენ.

ლონდონი. „Tin. New."-ს განუხილავს რუსეთის ბიუჯეტი და ამ მხრივ რუსეთის მდგომარეობა კარგად უცვნია.

სოჩი. მიწად-მოქმედების მინისტრი მიდის გაგრში კლიმატიურ სადგურის გახსნაზედ დასასწრებლად.—დღეს იხსნება სამოქალაქო სასწავლებელი.

სტამბოლი. მისვლა-მოსვლა ჩატალჯოისა და ხადემ-კიოს შუა შესწყდა დიდი თოვლისა გამო.

მადრიდი. ანდუჟარში უწესოება მოჰხდა საქალაქო გადასახადის აწევის გამო. მცხოვრებნი ქვებს ესროდნენ ჟანდარმებს, რომლებიც თავის მხრივ რევოლვერებს ისვროდნენ. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ტანჟერი. ტახტის მაძიებლის მომხრენი დაამარცხა სულთანის ჯარმა.

ჩარლასტონი. მოვიდა დესპანი ბაუენი.

პარიჟი. დეპუტატს რივეს უნდოდა შეჰკითხებოდა პალატას მაკედონელთა მდგომარეობისა და საფრანგეთის მათთან დამოკიდებულების შესახებ. დელკასემ განაცხადა, მე ახლა შემიძლია ვსთქვა მხოლოდ ის, რომ საფრანგეთი მოიქცა ისე, როგორც მისი ტრადიციები მოითხოვდაო, გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ყველაფერს დაწვრილებით ავხსნიო. რივე აღარ შეეკითხა პალატას.

8 იანვარი.

სოფია. საგანგებო კომისსიამ ამოირჩია ადგილი ბანის მოედანზედ, სადაც აშენდება ეკკლესია-ძეგლი პლევნაში დახოცილ რუს მეომართათვის.

ტანჟერი. უკანასკნელი შეტაკების მნიშვნელობა ფეცთან გაზვიადებულია: თუმცა სულთანის ჯარებმა გასძარცვეს დასავლეთის ოლქების რამდენიმე სოფელი, მაგრამ ტახტის მაძიებლის ჯარებთან-კი ჯერ ბრძოლა არ მოჰხდენიათ.

პარიზი. მინისტრთა თათბირზედ ლუბემ შეამოწმა კანონ-დებულება, რომლის ძალითაც ბრეტონის სარდინკების მჭრელთ ეძლევათ ექსტრორდინარული შემწეობა 500,000 ფრანკით.—საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მაკედონიის საქმის შესახებ საფრანგეთი მოწადინებულია გადაწყვეტილ რეფორმების მეოხებით მაკედონელთა მდგომარეობის გაუმჯობესობას.

სტამბოლი. ორმანიანის ჭრილობა ისეთი მსუბუქი ყოფილა, რომ მღვდელთ-მოქმედებაც-კი შეუსრულებია.

კარაკასი. კასტროს მიერ გამოცხადებულ 2,500,000 ბოლივარ სესხზედ ხელი მოაწერეს უცხოურ და ვენესუელის ვაჭრებმა; ჰფიქრობენ ვითომც ამით მტკიცდება, რომ მატოსის წინამძღოლობით ამბოხებამ დანიშნულებას ვერ მიაღწიაო.

პეკინი. სახელმწიფოთა უკანასკნელ ნოტაზე ჩინეთმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან გადიხადოს გადასახადი, რიდგან ვიცემეფენი იუწყებიან, რომ ხალხზე გადასახადის მომატებით შემოსავალი ვერ იმატებს, რადგან მცხოვრებნი დიდს სიღარიბეშიაო. ჩინეთმა აღძრა შუამდგომლობა ოქროს ვალიკტოს სადამოჟნო ტარიფის შემოღების და ყოველ თვიურ სადამოჟნო გარდასახადის შუათანა კურსის დაარსების შესახებ.

პეტერბურგი. მურგაბის მამულის გამგე სტატსკი სოვეტნიკი ტოლსტოი დაინიშნა საუფლისწულო მამულების უფროს გამგედ. ჩერნიგოვის ვიცე-გუბერნატორი ბარონ მედემი გადაყვანილ იქმნა პსკოვის ვიცე-გუბერნატორად.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:— ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ა. როინაშვილის ფოტოგრაფიაში იყიდება

წ მ. ნინოს

ახალი სურათი. ფასი 40 კაპ.
(2—3—1)



დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—5)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

საბუღალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

საბუღალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები**. ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორივე სქესისანი**, 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთავრების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს, საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილინი**, იურისტები: ა. ი. **მიტკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი**, მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი**, ს. ე. **კოზლოვი**, ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88. (10—473—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 января 1902 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасам дзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.